II
1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წლიწადი მეექვსე



| № 7 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР | 1943 წ. |
|---|---|---|



## სარჩევი


1. Приказ № 2448 О результатах годовых испытательных работ по русскому языку и литературе учащихся X классов в конце 1942/43 учебного года . . . . . 2
2. ბრძანება № 2256—1943-44 სასწავ. წლისათვის მზადების შესახებ—საქართველოს სსრ განსახკომის 1943 წ. 10 მარტის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგები: საგარეჯოს, კასპის, გორის, თბილისის, ქარელის და ბორჯომის რაიონებში . 6
3. ბრძანება № 2255—1942-43 სასწავ წლის განმავლობაში სასკოლო მიწის ნაკვეთის დამუშავებისა და მოვლის დარგში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ . . . . . . 11
4. რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგეებს . . . . . . . . . . . . 16


თბილისი—1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 2448

**по Народному Комиссариату Просвещения Грузинской ССР от 27 июля 1942 года**

## О РЕЗУЛЬТАТАХ ГОДОВЫХ ИСПЫТАТЕЛЬНЫХ РАБОТ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ И ЛИТЕРАТУРЕ УЧАЩИХСЯ X КЛАССОВ В КОНЦЕ 1942/43 УЧЕБНОГО ГОДА

Ознакомившись с результатами проверки испытательных письменных работ по русскому языку м литературе учащихся X классов средних школ Абашского, Амбролаурского, Борчалинского, Зугдидского, Тианетского, Хобского, Цхакаевского, Кутаисского (и гор. Кутаиси), Мцхетского, Цулукидзевского, Карельского, Махарадзевского, Самтредского, Чиатурского, Маяковского, Сигнахского, Цкалтубского, Тбилисского, Потийского, Цаленджихского и др. районов (всего свыше 70 школ) отмечаю, что большинство школ испытания встретило вполне подготовленным, письменные работы в них проведены организованно и на основе инструкции Наркомпроса. В ряде школ гор. Кутаиси (III, X, XIV и др. средние школы — преподаватели: Е. Мачавариани, Геденидзе и М. Квицаридзе), в Квахчирской (преп. К. Лалиашвили) и Рионской (препод. А. Абесадзе) средних школах Кутаисского района, в Махарадзевской I и II средних школах (преподаватели С. Джаши и М. Думбадзе), в Бахвской средней школе (Махарадзевского района, преподаватель Инцкирвели), в Зугдидской I средней школе (препод. Л. Боджгуа), в Цхакаевской II средней школе (препод. Н. Нодия), в Абашской I и II средних школах (препод. И. Качарава и Канделаки), в Потийской I средней школе (препод. Карамурза), в Авлевской (препод. Л. С.) и др. средних школах учащиеся пишут культурно, обнаружили достаточную грамотность и внешне работы оформлены вполне удовлетворительно. Работы эти преподавателями исправлены внимательно и в основном оценены правильно.

Наряду с достижениями в письменных работах учащихся школ ряда районов имеются существенные недочеты, а именно:

а) директора, зав. учебной частью и преподаватели русского языка не ознакомились с инструкцией Наркомпроса Грузинской ССР о проведении письменных испытаний по русскому языку в X классах, в результате чего учащимся X классов вместо одной темы, как об этом указывалось в инструкции Наркомпроса, предложено несколько: так, в Дзвели-Абашской и Онтопской средних школах Абашского района, в Д. Кацхской средней школе Чиатурского района в Знаквской средней школе Амбролаурского р. и Цулукидзевской I средней школе предложены по три темы, в Илорской и Кулашской—Самтредского района и Кутаисской I средних школах по две темы;

б) в некоторых школах учащимся были предложены незаконченные или неправильно сформулированные темы: в Бакурцихской средней школе Гурджаанского района—была предложена тема „Ночлег охотников"—из „Человек в футляре"—Чехова, в Матходжской средней школе Цулукидзевского района —„Что за человек Беликов", в Цулукидзевской I средней школе „Визит доктора", „Встреча Мцири с грузинкой" и „Беликов на заседании педагогического Совета", в Руисской средней школе Карельского района „Краткое содержание биографии А. С. Пушкина".

Учащиеся этих школ поневоле уклонились от темы, брали материал более широко и, естественно, путались в ответах;

в) испытательные работы учащихся ряда школ несамостоятельны; так в Кутирской средней школе Цулукидзевского района (препод. С. Рухадзе) тексты работ учащихся А. Р., Н. Р. и Р. Г. (I группа)—одинаковы. Также одинаковы тексты работ учащихся В. Ч., К. Р. и Е. Д. (II группа).

Работы учащихся Матходжской средней школы списаны с общего источника, и некоторые из учащихся списывают неудачно.

Примеры использования общего источника имеются в Маяковской II, Обчинской, Сверской, Лихаурской, Наесаковской, Маранской и Занатской (Абашского района) средних школах, в Бакурцихской средней школе (препод. Ек. Зардиашвили) тексты работ учащихся до того одинаковы, что оставляют впечатление диктанта, а в Мисакциельской средней школе Мцхетского района (препод. Гардапхадзе) работы уча-

щихся на тему „Песня о Соколе“ написаны выражениями, близкими к лозунгам;

г) во многих школах низка грамотность учащихся.

Учащиеся Бакурцихской средней школы (препод. Е. Зардиашвили) не справляются с написанием слов (русский пишут через одно с), своих имен (Тамари вм. Тамары), этого (пишут „етого“), в словах „внешний“ и „влияний“ в пишут раздельно.

В Бретской средней школе Карельского района (препод. У. Эдидашвили) типичными ошибками всего состава класса (11 учащихся) являются „были“ вм. „били“, „комне“, „сним“, „васильевич“, „ноч“, „баришня“ и др. Такие ошибки допускаются учащимися этой школы и тогда, когда вся работа списана с общего источника:

д) работы выпускных классов преподавателями ряда школ исправлены невнимательно и соответственно оценки их являются неправильными, завышенными.

В Обчинской средней школе при исправлении работ пропущено много ошибок; так в работе Мшвидадзе, оцененной сначала „посредственно“, а потом „хорошо“ пропущено 15 ошибок. В Шашианской и Симониантхевской средних школах имеются случаи неисправления неправильно написанных выражений „бурно прошедшей жизни“ (вместо бурно проведенной жизни) и „учитель гимназии греческого языка“.

Тоже самое в Руисской средней школе (препод. О. Петриашвили).

Недопустимый факт в деле исправления письменных работ имеется в Бретской средней школе, Карельского района (препод. У. Эдилашвили).

Из 11 работ учащихся X класса преподавателем 8 работ оценено „отлично“, 1—„хорошо“ и 2 „посредственно“.

Фактически, за исключением одной работы, все учащиеся пишут совершенно безграмотно с количеством ошибок не менее 50—70 в каждой, причем и при наличии ошибок, исправленных преподавателем, не могло быть такой оценки.

Пропуски ошибок имеются в Цулукидзевской, в Маяковской, Симониантхевской, Махарадзевской III и др. школах.

Имеются случаи путаницы в отношении номенклатуры

отметок. В Обчинской средней школе препод. вм. „очень плохо" пишет „очень слабо".

Считаю, что означенные недочеты в испытательных письменных работах учащихся X классов школ Цулукидзевского, Карельского, Гурджаанского, Чиатурского и др. районов являются результатом безответственного отношения директоров школ преподавателей русского языка к своим обязанностям в отношении осуществления указаний Наркомпроса по проведению письменных работ, их исправлению и оценке, а также результатом заниженных требований, пред'являемых к учащимся.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Отметить факт нарушения инструкции Наркомпроса Грузинской ССР относительно проведения испытательных письменных испытаний по русскому языку в X классах нерусских школ и слабую организацию работы в период испытаний в Дзвели Абашской и Онтопской средних школах — Абашского района, в Знаквской, Цаленджихской, Илорской и Кулашской средних школах, Диди Кацхской средней школе Чиатурского района, Цулукидзевской I и Кутаисской I средних школах, за что указать директорам Р. Куправа, Ш. Ломидзе, Челидзе, Лемонджава, Сулава, Замтарадзе, Ш. Купатадзе, Г. Кванталиани и Т. Дахундаридзе.

2. За невнимательное исправление письменных работ учащихся X классов завышенные их оценки и неподготовку учащихся к испытаниям препод. русского языка и литературы Бретской средней школы Карельского района И. Эдилашвили с 20/VIII—1943 г. освободить от должности преподавателя русского языка и литературы.

3. За невнимательное исправление письменных работ учащихся X классов Обчинской, Цулукидзевской I, Руисской, и Знаквской средних школ поставить на вид преподавателям Мшвидадзе, Инджия, Петриашвили и Микиашвили.

4. Преподавателям русского языка и литературы систематически повышать свою квалификацию, изучать имеющуюся методическую литературу и в повседневной своей работе руководствоваться соответствующими директивами и указаниями Наркомпроса.

5. Зав. РОНО Абашского, Махарадзевского, Карельского, Чиатурского, Тионетского, Амбролаурского, Самтредского, Цаленджихского, Гурджаанского, Мцхетского и др. районов снабдить преподавателей русского языка школ методической литературой и соответствующими инструкциями Наркомпроса и обеспечить высококачественное выполнение данных в них указаний.

6. Предложить районным и городским отделам народного образования обсудить данный приказ на педагогическом совете школ района и секции преподавателей русского языка и литературы в начале нового учебного года и наметить мероприятия, необходимые для улучшения преподавания русского языка и литературы.

Основание: Постановление Коллегии Наркомпроса Грузинской ССР от 27/VII—1943 г.

Зам. Наркома Просвещения
Грузинской ССР **М. Бурчуладзе**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2256

### განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 6 აგვისტო

**1943-44 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ—საქართველოს სსრ განსახკომის 1943 წლის 10 მარტის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგები საგარეჯოს, კასპის, გორის, თბილისის, ქარელის და ბორჩალოს რაიონებში.**

შემოწმებით დადასტურდა, რომ საგარეჯოს, ქარელის, თბილისისა და ბორჩალოს რაიონებში მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამ რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადოდ არ იბრძვიან საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. 30 იანვრის დადგენილებისა და ამ დადგენილებიდან გამომდინარე სსრ განსახკომის 1943 წლის 6 თებერვლის ბრძანების განხორციელებისათვის, აგრეთვე არ სრულდება განსახკომის 10 მარტის ბრძანება 1940-41 სასწავლო წელს სკოლებიდან ჩამოშორე-

ბულ მოსწავლეთა და 1943-44 სასწავლო წლისათვის სკოლებში ახლად ჩასაბმელ ბავშვთა აღწერისა და სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტით დროულად დაკომპლექტების შესახებ. ამ რაიონების სახ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) დროულად არ გაშალეს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელ მოსახლეობაში, ვერ დარაზმეს მასწავლებლები და უფროსი კლასების მოსწავლეები ზემოაღნიშნულ დადგენილებისა და ბრძანებების განხორციელების ირგვლივ და ვერ უზრუნველჰყვეს მათი აქტიური მონაწილეობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

მთელ რიგ სკოლებს ჯერაც არ ჩაუტარებიათ 1940-41 სასწავლო წელს სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა აღწერა და არ დაუზუსტებიათ ახალ სასწავლო წელს სკოლებში ჩასაბმელ მოსწავლეთა რაოდენობა. საგარეჯოს რაიონის თოხლიაურის, დიდი და პატარა ჩაილურის, აზბულახის და ბურდიანის არასრულ საშუალო სკოლებს არ ჩაუტარებიათ ბავშვთა აღრიცხვა და არ იციან რამდენი მოსწავლე უნდა ჩარიცხონ სკოლებში ახალ სასწავლო წლისათვის, ბორჩალოს რაიონის სახ. განათლების განყოფილებას არ დაუზუსტებია მოსწავლეთა რაოდენობა და რაიონის უმრავლეს სკოლებში არ არის შედგენლი I-V კლასებში ჩასაბმელ ბავშვთა სიები. ასევე არ გააჩნია დაზუსტებული სიები ქარელის რაიონის აგარის (დირ. კალისტრ. გაბუნია), მოხისის (დირექტ. მ. ნოზაძე), საშუალო სკოლებს და დვანისის (დირ. თ. ნიჟარაძეს) და ბრეთის (დირექტ. ჭავჭანიძე დ.) არასრულ საშ. სკოლებს.

ძალზე სუსტი მუშაობაა ჩატარებული ფრონტელთა შვილებისათვის დახმარების გაწევის საქმეში. ქარელის რაიონის რუისის, აგარის, მოხისის, დირბის, ბრეთის საშუალო და აბისის და დვანის არასრულ საშუალო სკოლებს არავითარი დახმარება არ გაუწევიათ ფრონტელთა შვილებისათვის. საგარეჯოს რაიონის ბურდიანის არასრულ საშ. სკოლას 17 ფრონტელთა შვილი ჩამოშორდა. სკოლის მუშაკებს არ მიუღიათ საჭირო ზომები ამ მოსწავლეების სკოლაში დასაბრუნებლად. ნინოწმინდის, თოხლაურის, პატარა და დიდი ჩაილურის, აღბულახის არასრულ საშუალო და სართიჭალის საშუალო სკოლებში ბევრი ფრონტელთა შვილი განითესა სასწავლო წლის განმავლობაში. ამ სკოლის დირექტორებს მათთვის არ გაუწევიათ არავითარი დახმარება. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ბორჩალოს, გორის და კასპის რაიონის უმრავლეს სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ უმოქმედობას იჩენენ სკოლის დირექტორები (გამგეები) სასკოლო შენობის და სასკოლო ინვენტარის შეკეთების დარგში და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სასკოლო ქონების მოვლა-დაცვის საქმეს. საგარეჯოს რაიონის, ნინოწმინდის, თოხლაურის, პატარა და დიდი ჩაილურის არასრულ საშუალო სკოლის, მანავისა, სართიჭალის და კაკაბეთის საშუალო სკოლებში შენობებისა და სასკოლო ინვენტარის რემონტი ჯერაც არ დაწყებულა და არავითარი ნაბიჯრა არის გადადგმული ამ მიმართულებით. სასკოლო ოთახების კარები ყველგან ღიაა, ოთახები დანაგვიანებული. ქარელის სახალხო განათლების განყოფილებას არ გააჩნია ახალ სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა, და ამ რაიონის უმრავლეს სკოლებში დვანის, აბისის არასრულ საშუალო და აგარისა და მოხისის საშუალო სკოლებში და სხვ.) სამზადისისათვის არავითარი მუშაობა არ არის ჩატარებული. ბორჩალოს საშუალო სკოლა სრულიად მოუწყობელია, დირექტორს არ უზრუნვია შენობისა და სასკოლო ინვენტარის რემონტისათვის. საპირფარეშო დანგრეულია და სხვ. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი კასპის რაიონის ყარაღაჯის (დირ. კაპრაშიძე) და ზემო ხანდაკის (დირექტ ვ. ქემხაძე) არასრულ საშუალო და ავჭალის საშ. სკოლაში (დირექტ. სამსონია).

ზოგი სკოლის დირექტორმა (გამგემ) ძალზე ცოტა გააკეთა ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულებისა და ადგილობრივ არსებულ სახელმძღვანელო წიგნების მოსწავლეებამდე დაყვანის საქმეში.

კასპის რაიონის უმრავლეს სკოლებში არ ჩაუტარებიათ ძველი სტაბილური სახელმძღვანელოების აღრიცხვა და არ უზრუნვიათ შესყიდვის გეგმის დროზე შესრულებისათვის. საგარეჯოს რაიონის დიდი და პატარა ჩაილურის, თოხლაურის და ბურდიანის არასრულ საშუალო სკოლებში არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ ამ მიმართულებით და არ იციან თუ რა სახის სახელმძღვანელოები გააჩნია მოსწავლეებს და რამდენი სახელმძღვანელო არის საჭირო მომავალი სასწავლო წლისათვის. მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის დარგში სუსტი მუშაობაა ჩატარებული გორის, ბორჩალოს და ქარელის რაიონებში, ამ რაიონებში სახელმძღვანელო წიგნების შესყიდვის გეგმის შესრულება არ აღემატება 70-75%-ს.

გარდა ამისა სახ. განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლის დირექტორები (გამგეები) და მასწავლებლები არ ზრუნავენ სავაჭრო წერტებში ჩაწოლილ სახელმძღვანელოების აღრიცხვისა და საჭირო წიგნების მოსწავლეებამდე დაყვანისათვის.

ზემო დასახელებულ რაიონებში ჯერ კიდევ არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული სკოლების სათბობი მასალით უზრუნველსაყოფად. ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ზემოჩამოთვლილი დეფექტები გამოწვეულია სკოლის დირექტორების (გამგეების) მიერ საძამულო ომის პირობებში სკოლების როლის მნიშვნელობის შეუფასებლობით, თავიანთ მოვალეობისადმი უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და სახ. განათლების განყოფილების მხრით სკოლებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტებით.

ვთვლი რა ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ გარღვევებს ყოვლად გაუმართლებელ მოვლენად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1943-44 სასწავლო წლისათვის მზადების დარგში უმოქმედობის გამოჩენისა და სასკოლო საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, გამოეცხადოს საყვედური და მოიხსნას დირექტორის თანამდებობიდან: საგარეჯოს რაიონის თოხლაურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ლარისა ლებანიძე, პატარა ჩაილურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი—არსენ ოთიაშვილი;

2. ახალ სასწავლო წლისათვის სამზადისის საქმეში უმოქმედობის გამოჩენისათვის გამოეცხადოს საყვედური: ა) ბორჩალოს საშუალო სკოლის დირექტორს ას. ვარაზმაზლის, ბ) ქარელის რაიონის დვანის არასრული საშუალო სკოლის დირექტ. თ. ნიჟარაძეს, ნ) კასპის რაიონის ყარაღაჯის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორს კაპრაშიძეს და ზემო ხანდაკის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს ე. ქემხაძეს.

3. ახალ სასწავლო წლისათვის სამზადისის საქმეში სუსტი მუშაობისათვის გაფრთხილება მიეცეთ საგარეჯოს რაიონის დიდი ჩაილურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს ქარსაულიძეს, ბურდიანის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს იარალოვას, ნინოწმინდის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს ძიმისტარიშვილს.

4. სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლებზე არასაკმაო ხელმძღვანელობის გაწევისათვის მიეთითოს საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ნ. ახვლედიანს და ქარელის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ლობჟანიძეს.

დაევალოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს):

5. ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ 1940-41 სასწავ. წელში სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა და სკოლებში ახლად ჩასაბმელ ბავშვთა სიების დაზუსტება სასკოლო უბნების მიხედვით და უზრუნველჰყონ მათი ჩარიცხვა სათანადო კლასებში სექტემბრისათვის.

6. ცალკე დააზუსტონ ფრონტელთა შვილების რაოდენობა, დაწვრილებით შეისწავლონ მათი საცხოვრებელი პირობები, გაუწიონ დახმარება სასკოლო ნაკვეთების შემოსავლიდან განსახკომის ინსტრუქციის შესაბამისად. აგრეთვე ფრონტელთა შვილების სიები წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მათთვის ტანსაცმელით, ფეხსაცმელითა და სურსათით დახმარების აღმოსაჩენად.

7. მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიებანი სასკოლო შენობისა და სასკოლო ინვენტარის აუცილებელი რემონტის ჩასატარებლად, რისთვისაც დაუკავშირდნენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებს, კოლმეურნეობების გამგეობებს და მათი დახმარებით გამონახონ საჭირო რაოდენობით საშენი მასალა, დროულად მიიღონ რემონტისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა და 20 აგვისტოსათვის უზრუნველჰყონ სკოლების სრულ წესრიგში მოყვანა.

8. გაშალონ სათანადო ახსნა-გამმარტებითი მუშაობა მშობლებსა და მოსწავლეთა შორის ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო წიგნების შესყიდვის შესახებ და საშემოდგომო გამოცდების დამთავრებისას მიაღწიონ სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის მთლიანად შესრულებას.

9. ჩაატარონ ადგილობრივ სავაჭრო წერტებში არსებულ სტაბილური სახელმძღვანელო წიგნების მარაგის აღწერა, შეადგინონ სახელმძღვანელო წიგნების სია და მიიღონ ზომები მოსწავლეების მიერ ამ წიგნების შესასყიდად. ხოლო წიგნების ზედმეტი მარაგის შესახებ აცნობონ სახ. განათლების განყოფილებას ამ წიგნების სხვა სკოლებში გასაგზავნად.

განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

10. საფუძვლიანად გააცნონ დირექტორებს (გამგეებს) და მასწავლებლებს გაზეთ „პრავდის“ მოწინავე „სავსებით მომზადებულნი შევხვდეთ სასწავლო წელს“ (გაზეთ „კომუნისტი“ 31 ივლისის) და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო წლისათვის სკოლების საუკეთესოდ მომზადების უზრუნველსაყოფად.

11. საგარეჯოს, თბილისის, გორის, ქარელის, ბორჩალოს და კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ჩამორჩენილ სკოლებს მიამაგრონ ინსპექტორები და სხვა პასუხისმგებელი პირები და ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლზე კონკრეტული დახმარების გაწევის გზით უზრუნველჰყონ ამ სკოლების სათანადო მომზადება 20 აგვისტოსათვის,

12. 15 აგვისტომდე შეამოწმონ ცალკე სკოლებში ახალ სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა, ადგილზე გაუწიონ ხელმძღვანელობა და დახმარება სასკოლო შენობისა და სასკოლო ინვენტარის სრულ წესრიგში მოყვანის საქმეში.

13. დაუყოვნებლივ ჩაატარონ დირექტორებისა და მასწავლებლების მეშვეობით ადგილობრივ სავაჭრო წერტებში არსებულ სახელმძღვანელო წიგნების მარაგის აღწერა, გამოარკვიონ სკოლის მოთხოვნილება ამ წიგნზე და ზედმეტი მარაგი გადასცენ იმ სკოლებს, რომლებსაც ეს წიგნები არ გააჩნია.

14. 10 აგვისტომდე დააზუსტონ დამატებით საჭირო პედკადრების რაოდენობა და მოთხოვნილება წარმოუდგინონ განსახკომს.

15. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ 20 აგვისტომდე ჩაატაროს საგარეჯოს, ქარელის, გორის, თბილისის, კასპის, ბორჩალოს და სხვა რაიონებში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგები მომახსენოს პირადად მე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1943 წლის 27 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2255

### განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 6 აგვისტო

### 1942-43 სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და მოვლის დარგში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ

აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მრავალმა სახ. განათლების განყოფილებამ განსახკომის მითითებისა და დირექტივების საფუძველზე სათანადოდ გაშალა მუშაობა სასკოლო მიწის ნაკვეთების ფართობის გადიდებისა, მათი დამუშავებისა და მოვლა-დაცვის საქმეში.

მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავების მხრით კარგი მაჩვენებლები მოგვცეს:

აბაშის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—დანელია გ.), ახალქალაქის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე— მამუ-

კიანი ვ.), გეგეჭკორის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ძაძამია რ.), ზუგდიდის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ბირკაია გ.), ლანჩხუთის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ჩხაიძე გ.), მაიაკოვსკის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—გოცირიძე ვ.), ცხაკაიას (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ქურდიანი აკ.), ჭიათურის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ბიწაძე ვ.), სიღნაღის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე—ამიროვი გ.), და ზოგიერთმა სხვა განათლების განყოფილებებმა.

ჩატარებული მუშაობის შედეგად, გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გადიდდა სასკოლო მიწის ნაკვეთების ფართობი. თუ გასულ წელს საქართველოს რესპუბლიკის დაწყებითს, არასრულ საშუალო, საშუალო და პედაგოგიურ სასწავლებლებს ჰქონდა 350 ჰექტარის ფართობი, წელს მარტო 46 რაიონის სკოლების სასკოლო მიწის ნაკვეთის ფართობი 1000-მდე ჰექტარს უდრის

სასკოლო მიწის ნაკვეთების ფართობის გადიდების და მოვლადამუშავების დარგში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოგვცა კაცხ-საღიეთის, ხალიფაურის საშუალო სკოლებმა (ჭიათურის რ.), პირველი მაისის, ბიის საშუალო სკოლებმა (ხობის რ.), ავლევის საშუალო სკოლამ (ქარელის რ.), ფარცხანაყანევის, ცხუნკურის საშუალო სკოლებმა (წყალტუბოს რ.), ფეროს, საზანოს საშუალო სკოლებმა (ზესტაფონის რ.), ვაქირის და ქვ. მაჩხაანის საშუალო სკოლებმა (სიღნაღის რ.), კაჭრეთის, არაშენდის საშუალო სკოლებმა (გურჯაანის რ.), ტირძნისის და ქვ. ნიქოზის საშუალო სკოლებმა (გორის რ.), თამაკონის და აბედათის საშუალო სკოლებმა (გეგეჭკორის რ.), ჭოპორტის და ბაზალეთის საშუალო სკოლებმა (დუშეთის რ.), ჩიბათის საშუალო სკოლამ (ლანჩხუთის რ.), იგოეთის და სასირეთის საშუალო სკოლებმა (კასპის რ.), ქალ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლამ, ოფშკვითის, საყულიის საშუალო სკოლებმა (ქუთაისის რ.), თერჯოლის არასრულმა საშუალო სკოლამ (ჩხარის რ.), ძველი სენაკის საშუალო სკოლამ (ცხაკაიას რ.), წინანდლის საშუალო სკოლამ (თელავის რ.), ალისა და ქვიშხეთის საშუალო სკოლებმა (ხაშურის რ.).

ამ სკოლებმა მიწის ნაკვეთები დროულად შემოღობეს, დაგეგმეს, ნიადაგი გადააბრუნეს და გაანოყიერეს, საუკეთესოდ უვლიან ნათესებსა და ნარგავებს, აკვირდებიან მათ ზრდა-განვითარებას და აწარმოებენ სასწავლო ხასიათის საცდელ მუშაობას.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, მთელმა რიგმა სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა ვერ შეაფასეს სასკოლო

ეროვნული
...თეკა

მიწის ნაკვეთების დიდი მნიშვნელობა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების საქმეში, დროზე არ მიიღეს საჭირო ზომები სკოლებისათვის ნაკვეთების გამოსაყოფად და არსებულ ნაკვეთების მოვლა დამუშავების უზრუნველსაყოფად.

ასე, მაგალითად, მიწის ნაკვეთები არ გააჩნია: ცაგერის რაიონში 52 სკოლიდან —30-ს, ყვარელის რაიონში—22 სკოლიდან——6-ს, ყარაიაზის რაიონში—22სკოლიდან—5-ს, ორჯონიკიძის რაიონში—63 სკოლიდან 12-ს, მცხეთის რაიონში 49 სკოლიდან—30-ს, ბოლნისის რაიონში—43 სკოლიდან—33-ს, თეთრი წყაროს რაიონში—79 სკოლიდან—59-ს, ბორჩალოს რაიონში—75 სკოლიდან——35-ს, ბაშკიჩეთის რაიონში 63 სკოლიდან—24-ს, ასპინძის რაიონში 65 სკოლიდან—35-ს, ამბროლაურის რაიონში—64 სკოლიდან 35-ს, ქარელის რაიონში—86 სკოლიდან,—70-ს და ა. შ.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ შეასრულა განსახკომის დავალება სკოლების მიწის ნაკვეთებით, თესლითა და ნერგების უზრუნველყოფის, ნაკვეთების დამუშავების, მოვლა-დაცვის, სკოლების საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისის მდგომარეობის სისტემატურად შემოწმებისა და არსებულ მდგომარეობაზე განსაზღვრულ ვადებში (ყოველი წლის აპრილის, ივლისის და დეკემბრის 1-ლ რიცხვებში) განსახკომში ცნობების წარმოდგენის შესახებ. ასეთებია: ახალციხის, ბორჯომის, გორის, ვანის, ზ. სვანეთის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, სამტრედიის, ტყიბულის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის და წულუკიძის რაიონების, აფხაზეთის და აჭარისა ასსრ განსახკომები და სამხრეთ-ოსეთის ა. ო. სახალხო განათლების განყოფილება. დღემდე არ არის მათ მიერ წარმოდგენილი ცნობები მიწის ნაკვეთების შესახებ, მიუხედავად რამდენიმეჯერ გაფრთხილებისა.

მრავალ სკოლაში მიწის ნაკვეთები არ არის შემოღობილი, დაგეგმილი, დაბარული, განოყიერებული, არ არის ჩატარებული შერჩეული თესლებისა და ნერგების დათესვა და დარგვა, დათესილისა და დარგულის მეთვალყურეობის მოვლა-დაცვის ორგანიზაცია: ასეთებია: ნოჯიხევისა და ზუბის არასრული საშუალო და გაშფერდის დაწყებითი სკოლები (ხობის რ.), ქარელის საშუალო სკოლის ეზო ცუდად არის შემოღობილი, ფართობი ბალახით არის გადავლილი, ნათესები გადაჭმულია საქონლის მიერ, ასევე დაუმუშავებელია რუისის (ქარელის რ.), ტიბაანის (სიღნაღის რ.), შირაქისლენინოვკის (წითელი წყაროს რ.) და ყარაიაზის, თბილისის, გურ

ჯაანის, წყალტუბოს, კასპის, ახალციხის რაიონების მრავალი სკო-ლის მიწის ნაკვეთი.

სასკოლო მიწის ნაკვეთებზე მუშაობის საქმეში არსებულ ჩამორჩენების ლიკვიდაციისა და შემდგომში მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§-1. დ ა ე ვ ა ლ ო ს  ს ა ხ ა ლ ხ ო  გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს  გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს  გ ა მ გ ე ე ბ ს:

1. დასვან საკითხი სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე და ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უზრუნველჰყონ საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყოფა იმ სკოლებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ დღემდე ასეთი და მიწის ფართობის გადიდება იმ სკოლებისათვის, რომელთაც ასეთი მცირე რაოდენობა აქვთ.

2. მტკიცე კონტროლი გაუწიონ სკოლებს, რათა შესაფერ ნიადაგზე იქნეს დაყენებული სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლისა, დაცვისა და მათზე მოსავლის აღება-განაწილების საქმე.

3. გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რათა სასკოლო მიწის ნაკვეთები არ იქნეს დარჩენილი მოსწავლეთა ბრიგადებზე, მასწავლებლებზე და სკოლის ტექნიკურ პერსონალზე გაპიროვნების გარეშე.

4. სასკოლო მიწის ნაკვეთებზე მუშაობის მიმდინარეობა შეამოწმონ სისტემატურად და სათანადო ცნობები, საქართველოს სსრ განსახკომის 1942 წ. №-492 ბრძანებით დადგენილი ფორმის მიხედვით, დროულად გადმოუგზავნონ განსახკომს.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსავლის აღრიცხვა-განაწილების ზუსტად წარმოების საქმეს—მოსავლის აღრიცხვა განაწილების შესახებ სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

§—2 დ ა ე ვ ა ლ ო ს  დ ა წ ყ ე ბ ი თ ი,  ა რ ა ს რ უ ლ ი  ს ა შ უ ა ლ ო  დ ა  ს ა შ უ ა ლ ო  ს კ ო ლ ე ბ ი ს  დ ი რ ე ქ ტ ო რ ე ბ ს ა  დ ა  გ ა მ გ ე ე ბ ს:

1. გადამჭრელი ზომები მიიღონ დათესილი მიწის ნაკვეთების მოსავლის მოვლა-პატრონობისათვის, მოსწავლეთა და სკოლის ტექნიკური პერსონალის მიწის ნაკვეთის კვლებსა და ნაკვეთებზე გაპიროვნებისათვის და არ დაუშვან არსებული კულტურების მიტოვება მეთვალყურეობის გარეშე.

2. მიიღონ ზომები, რათა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლებმა უშუალოდ უხელმძღვანელონ მიწის ნაკვეთებზე გაპიროვნებულ მოსწავლეთა ჯგუფებს და არ იქნეს დაშვებული ბიოლოგიის მასწავლებლის მეთვალყურეობის გარეშე ნაკვეთების დატოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ზუსტი და სისტემატური აღრიცხვა აწარმოონ იმ ბიოლო-გიურ ცდებისა, რომლებიც ნაკვეთებზე ტარდება სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებისა და თეორიის სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

§—3. 1. ცნობების, სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და მოვლა-დაცვის მიმდინარეობის შესახებ დროულად წარმოუდგენლობისათვის მიეთითოს: ახალციხის, ბორჯომის, გორის, ვანის, ზ. სვანეთის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, წულუკიძის, სამტრედიის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჩხარის სახალხო განათლების განყოფილებების გამგეებს და წინადადება მიეცეთ მათ შემდეგში მიწის ნაკვეთებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ სისტემატურად აგზავნონ ცნობები დაწესებულ ვადებში (იხ. განსახკომის ბრძანება №—492).

2. სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-დაცვის საქმეში დაუდევრობისათვის და მიწის ნაკვეთების მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური გაფრთხილებით: ქარელის საშუალო სკოლის დირექტორს დ. გამრეკელს, რუისის საშუალო სკოლის დირექტორს არ. ფოჩხუას (ქარელის რ.), ნოჯიხევის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორს აკ. ლიპარტიანს, ზუბის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორს ივ. როგავას (ხობის რ.).

3. ეს დადგენილება განხილულ იქნეს პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა თათბირებზე, რის შედეგად დასახულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1943 წ. 27 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განსახკომის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

სსსრ
განსახკომი
8/VI—1943 წ.
№ 657

__________ რაიონის, ქალაქის
სახალხო განათლების განყოფილების გამგეს

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, საბავშვო სახლებში მცხოვრები ბავშვების კვების გაუმჯობესების მიზნით, სასკოლო ნაკვეთებზე მოყვანილი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურისა და აგრეთვე ხილეულის მოსავლის 20 პროცენტი უნდა გადაეცეს მტკიცე ფასებში საბავშვო სახლებს. დასახელებული კულტურების მოსავლის 20% უნდა გადაირიცხოს სახალხო განათლების განყოფილების ფონდში. განათლების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს გასცემს საბავშვო სახლებზე განსახკომის განრიგის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით, „სასკოლო ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ" საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქციის II-თავის „გ" პუნქტი შემდეგნაირად იცვლება: „20% მარცვლეული და ბოსტნეული კულტურებისა და ხილეულის მოსავლიდან ბავშვთა კვების გაუმჯობესების მიზნით მტკიცე ფასებში უნდა მიეცეს საბავშვო სახლებს. დასახელებული კულტურების მოსავლის საერთო რაოდენობის ეს 20% თავს იყრის სახ. განათლების განყოფილების განკარგულებაში განათლების განყოფილება პროდუქტების გაცემას საბავშვო სახლებზე აწარმოებს განსახკომის განრიგის საფუძველზე".

ამასთან ერთად, საბავშვო სახლებს უნდა გადაეცეს აგრეთვე საჭირო რაოდენობით ცხოველთა საკვები ჩალა, ბზე, თივა და საქონლის საკვები ჭარხალი.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ სასწრაფოდ მისცეთ მითითება სკოლებს და უზრუნველჰყოთ ამ დადგენილების გატარება.

საქ. სსრ განსახკომის მოადგილე ბ. კიზირია

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჯულაძე

შეკვეთა 1446 უე 1614 ტირაჟი 1000
საქ. აჟგ. მრეწვ. სახ. კომ-ის სტამბა. თბილისი. ფურცელაძის ქ. № 5